ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3

წინანდალი 20/04/ 2023წ.

ერთის მხრივ, ააიპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - თელავის მუნიციპალიტეტის წინანდლის სამუსიკო სკოლა ს/კ 231285864 (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ნუნუ აჩუაშვილი-მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ შპს გორგია ს/კ 245621288 (შემდგომში მიმწოდებელი),

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება” - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების .პსრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე”, „კვირა”, „თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი” - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **საკუთარი სახსრებით--SPV –42122130,42130000,42131400**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 780ლ

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

4.3.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღების შემდეგ მხარეები გააფორმებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს ,

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება – ჩაბარების აქტს და შესაბამის საგადასახადო დოკუმენტებს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერის უფლება ეძლევათ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ პირებს.

6. ხელშეკრულების შესრულების ვადები

6.1. საქონლის გატანას შემსყიდველი თავად უზრუნველყოფს **2023 წლის 20.04 დან 2023წლის 31.12** პერიოდში.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ძალაში შესვლიდან **2023 წლის 20/04**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

7.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს მოწოდებულ საქონელზე ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3.2. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. საქონლის გადაცემა (მომსახურების გაწევა, სამუშაოს შესრულება) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

7.4.3., არ გაამჟღავნოს შემსყიდველის პერსონალური ინფორმაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

7.4.4. იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ზიანი.საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ საგარანტიო მომსახურება ხორციელდება ნივთზე თანდართული საგარანტიო ტალონის პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი მხარე. (ამისათვის გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი ან პიროვნება).

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ასევე ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურებ, ორმხრივი უნდა იყოს.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების პირობების სრულად შესრულებამდე.

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ააიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - წინანდლის სამუსიკო სკოლა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22, ს/კ 231285864

out of School Art Educational Institution village Tsinandali Music school of Telavi Municipality
Digitally signed by out of School Art Educational Institution village Tsinandali Music school of Telavi Municipality
Date: 2023.04.21 14:58:18 +04'00'

მიმწოდებელი
შპს გორგია ს/კ 245621288

Ketevan Lomadze 26001015243
Digitally signed by Ketevan Lomadze
Date: 2023.04.21 13:16:19

დირექტორი ნუნუ აჩუაშვილი-მაისურაძე